საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

კონკურსი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში საიუბილეო წიგნი-ალბომების გამოცემა

კონკურსის დებულება

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

1. ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვლევის ხელშეწყობა.
2. გამომცემელთა საქმიანობის ხელშეწყობა.
3. ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაცია, მათ შორის, წიგნი-ალბომის მომზადება/გამოცემის გზით:

ა) 2023 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით;

ბ) საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საეტაპო მნიშვნელობის მოვლენების შესახებ.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. პროექტი უნდა მოიცავდეს ქვემოჩამოთვლილ ერთ-ერთ ან ორივე კომპონენტს:

ა) საიუბილეო წიგნი-ალბომის საბეჭდი ფაილის მომზადება;

ბ) საიუბილეო წიგნი-ალბომების ფაილის ბეჭდვა/გამოცემა.

2.კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთაც მსგავსი პროექტის/პროექტების განხორციელების გამოცდილება აქვთ, ასევე, თავად ხელოვანს ან, თუ ის გარდაცვლილია, მისი ოჯახის წევრს (შემდგომში - კონკურსანტი).

3. ცალკეულ კონკურსანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარმოდგენა.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო, უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ქართულენოვანი თარგმანი.[1] ქართულ ენაზე თარგმნილი დოკუმენტები სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული (გარდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენებიდან თარგმანისა).

5. კონკურსში წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს 2023 წლის 6 მარტისა, ხოლო დასრულების თარიღი - არაუგვიანეს 2023 წლის **1 ნოემბრისა.**

6. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში- სამინისტრო) მიერ კონკურსისთვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს **200 000 ლარს**, რომლის ფარგლებშიც დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობასა და თითოეული პროექტის დაფინანსების თანხის ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

[1] გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბეჭდი მასალა უცხო ენაზეა და პირი მოგვმართავს პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე.

7.კონკურსში უპირატესობა მიენიჭება საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებულ პროექტს, რომელიც ეძღვნება :

ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ხელოვანებს, რომელთა შემოქმედების სრულფასოვნად ამსახველი მაღალპოლიგრაფიული დონის წიგნი-ალბომი ჯერაც არ გამოცემულა ან იშვიათია;

ბ) იმ გამოცემას, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე თემის აქტუალობით, გამოცემის საერთო კონცეფციით, ვიზუალური მხარით და ტექნიკური პარამეტრებით;

გ) ორენოვანი გამოცემის მომზადებას/გამოცემას (ქართული და ინგლისური ან ქართული და ფრანგული);

დ) კონკურსში, შესაძლებელია, უპირატესობა მიენიჭოს კონკურსანტს, რომლის წარმოდგენილი პროექტიც ითვალისწინებს პარტნიორების ფინანსურ ან სხვა ტიპის თანამონაწილეობას.

8. კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს საკონკურსო კომისია.

9.კონკურსში გამარჯვებული პროექტების ავტორებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები და სხვა საკითხები.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

1.კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) **განცხადება** - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის სახელზე (შემდგომში-მინისტრი), მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის (დანართი N1) შესაბამისად;

ბ) **ინფორმაცია პროექტის შესახებ** - მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის (დანართი N2) შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ბ.ა) **საბეჭდი ფაილის მომზადებაზე** პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში:

- გამოცემის კონცეფცია ელექტრონულად, PDF ფაილის სახით - 5-7 გვერდი. წარმოდგენილი მასალა უნდა წარმოაჩენდეს გამოცემის ვიზუალურ მხარეს, დიზაინის ნიმუშებს, სავარაუდო ვიზუალური მასალის სპექტრს;
- პარტნიორი ორგანიზაციიდან წარმოდგენილი დასტური იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია უზრუნველყოფს ფაილის ბეჭდვას არაუგვიანეს ა.წ. 15 ოქტომბრისა;

ბ.ბ) **ფაილის ბეჭდვის/გამოცემაზე** პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში:

- საბეჭდად გამზადებული წიგნი-ალბომის PDF ფაილი;
- გამოცემის ტექნიკური პარამეტრები და ბეჭდვის ხარჯები სტამბიდან წარმოდგენილი სრულყოფილი ინვოისების სახით (3 ინვოისი/ ბაზრის კვლევა);

ბ.გ) **საბეჭდი ფაილის მომზადებასა და მის გამოცემაზე** პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში:

- ბ.ა. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- გამოცემის ტექნიკური პარამეტრები და ბეჭდვის ხარჯები სტამბიდან წარმოდგენილი სრულყოფილი ინვოისის სახით;
- პროექტის ხარჯთაღრიცხვაში გამიჯნულად უნდა აისახოს საბეჭდი ფაილის მომზადებისა და ფაილის ბეჭდვის ეტაპები და, ასევე, თითოეულ ეტაპთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ.დ) ინფორმაცია სარედაქციო ან/და საგამომცემლო ჯგუფის შესახებ CV -ის სახით;

ბ.ე) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას, მათ შორის, გამოსაცემად მომზადებული წიგნის ავტორის ან/და საავტორო და მომიჯნავე უფლებების მქონე პირის/პირების წერილობითი თანხმობა/ნებართვას წიგნის გამოცემაზე;

ბ.ვ) პარტნიორების ფინანსური, ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შესახებ ინფორმაცია და თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.ზ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კონკურსანტის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების შესახებ (გარდა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისა).

2. კონკურსანტი უფლებამოსილია, შეცვალოს წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია მხოლოდ კონკურსის ფარგლებში საპროექტო/საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.

3.კონკურსანტს, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენისას, ხარვეზის აღმოსაფხვრელად, განესაზღვრება 2 სამუშაო დღე, რომლის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია რჩება განუხილველი.

4. საიუბილეო წიგნი-ალბომების ბეჭდვას ახორციელებს კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაცია.

5. სამინისტროს/სამინისტროს მმართველობის ფარგლებში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს, ნებისმიერი სახის აქტივობასა და სივრცეში, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან/და ნაბეჭდი ასლი, მათ შორის, მისი რეალიზაციის გზით.

6.პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ფოტო, ვიდეო, ელექტრონულ, ნაბეჭდ პროდუქციაზე) სავალდებულოა განთავსდეს სამინისტროს ლოგო და მიეთითოს, რომ ის სამინისტროს მხარდაჭერით არის მომზადებული/გამოცემული.

7. პროექტის განხორციელების შემდგომ, კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაცია წარმოადგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ - მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (დანართი N4-ის) შესაბამისად, საიუბილეო წიგნი-ალბომის საბეჭდად გამზადებულ PDF ფაილს და ასევე სამინისტროსთვის გადმოსაცემ ეგზემპლარებს.

8. სამინისტროს მიერ პროექტის სრულად დაფინანსების შემთხვევაში, კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ სამინისტროსთვის გადმოცემული ეგზემპლარის ოდენობა განისაზღვრება გამოცემული ტირაჟის 30%-ით, ხოლო პროექტის თანადაფინანსების შემთხვევაში, სამინისტროსთვის გადმოცემული ეგზემპლარის ოდენობა განისაზღვრება თანადაფინანსების მოცულობის გათვალისწინებით, ინდივიდუალური წესით.

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

1. კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებულ ინფორმაციას პროექტის შესახებ განიხილავს და შეაფასებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

2. კონკურსის ფარგლებში მოწონებული პროექტების გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე, 30 ქულის ფარგლებში.

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან	0-10
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგის გაზომვადობა (მდგრადობა)	0-5

3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში	0-5
4	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება	0-5
5	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის რეალურობა[2]	0-5
სულ		**30**

3. პროექტების შეფასების შედეგად, საკონკურსო კომისია იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;
ბ) პროექტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხით ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;
გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;
დ) პროექტის კორექტირების შესახებ.
4. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს იმ პროექტის დაფინანსების შესახებ, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც პირველი და მე-4 კრიტერიუმების შეფასებით დააგროვებს ქულათა უფრო მაღალ ჯამს.
5. პროექტის ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს მოსთხოვოს პროექტის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, რაც კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. ამ ვადის დაუცველობის, ან ამ ვადაში დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტი კონკურსიდან მოხსნილად ითვლება. მოცემული მიზეზით კონკურსიდან მოხსნის შესახებ ინფორმაცია კონკურსანტს ეგზავნება საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ.
6.საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნონ კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.
7. კონკურსში გამარჯვებული პროექტის განმახორციელებელ პირთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.
8. დაფინანსებული პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით, წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია პროექტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნით შემდეგი პირობებით:
ა) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 25% -ის ოდენობით;
ბ) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90%-ის ოდენობით.

მუხლი 5. კონკურსის ვადები

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება **2023 წლის 1 თებერვლიდან 2023 წლის 10 თებერვლის 12:00 საათამდე** სამინისტროში, მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. N4 მატერიალური სახით, ან სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@culture.gov.ge ელექტრონული დოკუმენტის სახით. კონსულტაციები შესაძლებელია სამინისტროს ცხელი ხაზის საშუალებით ტელ N: 032 2 022229 ან 577 502 762 სამუშაო საათების განმავლობაში.

[2] თუ პროექტი სრულად ფინანსდება პროგრამის ფარგლებში, პროექტის შეფასებისას მაქსიმალური ქულაა

2. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე არაუგვიანეს **2023 წლის 22 თებერვლისა.**

3. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ დაუბრუნდება.
„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების ხელშეწყობის პირობების და დაფინანსების წესის შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 3 ივნისის N7864 ბრძანება და ფორმულარები იხილეთ შემდეგ ბმულებზე:

დაფინანსების წესი: https://cutt.ly/7PGB6Oh ფორმულარები: https://cutt.ly/ePGNsau